

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 16.04.2019წ. N 20 დადგენილებით



შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია ადგენს სასწავლო უნივერსიტეტში სამუშაო ძალაზე მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნის კვლევის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრის, დაგეგმვის, განხორციელების, ანალიზისა და დასკვნის მომზადების პროცედურებს.

მუხლი 2. შრომის ბაზრის კვლევის მიზნები - სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში სამუშაო ძალაზე მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნის კვლევა

მუხლი 3. კვლევის ამოცანები - კვლევის ამოცანებია შემდეგი ძირითადი საკითხების შესწავლა:

1. რეგიონში მოქმედ კომპანიებში ადამიანური რესურსების მდგომარეობა;
2. სამუშაო ძალაზე პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევებისადმი დამსაქმებელთა მოთხოვნის შესწავლა;
3. სამუშაო ძალის მოზიდვასთან დაკავშირებული სირთულეების შესწავლა;
4. მოქმედი კომპანიების დამოკიდებულება უმაღლეს და პროფესიული განათლების სისტემასთან;
5. იმ პროფესიების დადგენა, რომლებზეც მიმდინარე პერიოდში მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული ან/და უახლოს პერსპექტივაში მოსალოდნელია მოთხოვნის ზრდა;
6. კადრების კვალიფიკაციით დამსაქმებელთა კმაყოფილების დონის შეფასება.
7. მოქმედი კომპანიების თვალსაზრისი საკუთარ რაიონსა და რეგიონში შესაბამის სფეროში პროფესიებზე მოსალოდნელ მოთხოვნასთან დაკავშირებით;

მუხლი 4. კვლევის არეალი - სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონი- ზუგდიდის, აბაშის, ხობის, სენაკის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მესტიის მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი ქალაქი ფოთი.

მუხლი 5. კვლევის განხორციელების სექტორები - კვლევა უნდა განხორციელდეს შემდეგ სექტორებში: განათლება, მედიცინა, მშენებლობა, ტურიზმი, HoReCa (სასტუმრო, რესტორანი, კვება), ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობა, საფინანსო, ფარმაცევტული, სადაზღვევო ორგანიზაციები, გაზიფიკაცია, ავეჯის სამექროები, საჯარო დაწესებულებები, დალაგება-დასუფთავების სერვისები და სხვა

მუხლი 5. კვლევის განმახორციელებელი:

1. კვლევას განახორციელებს სპეციალური ჯგუფი, რომელიც იქმნება შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ადმინისტრაციული აქტით.
2. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და განსაზღვრავს საკვლევი ობიექტების ნუსხას, ადგენს კითხვარს, ტრენინგს ატარებს სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის, კვლევის მიზნებისა და ინსტრუმენტების შესახებ, ამზადებს დასკვნებს კითხვარების სტატისტიკური დამუშავების შემდეგ.
3. სამუშაო ჯგუფი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ინსტრუქტაჟის შესაბამისად ატარებს ინტერვიურებას და შევსებულ კითხვარებს წარმოუდგენს შემდგომი დამუშავებისათვის.

მუხლი 6. კვლევის მეთოდოლოგია:

კვლევის ჩატარებისთვის გამოიყენება:

1. რაოდენობრივი კვლევა;
2. თვისობრივი კვლევა;

მუხლი 7. რაოდენობრივი კვლევა

1. კვლევის პირველ ეტაპზე მზადდება საკვლევი ობიექტების, კომპანიების, კერძო საწარმოების, ფერმერული მეურნეობების სია. სიის შედგენისას ჯგუფი ეფუძნება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მონაცემებს.
2. ინტერვიურება ხორციელდება შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში შექმნილი სპეციალური ჯგუფის მიერ.
3. ინტერვიუ შედგება სპეციალური, ნაწილობრივად სტრუქტურული კითხვებისგან. ინტერვიუ ტარდება „პირისპირ ინტერვიუების“ მეთოდით.
4. კვლევის მიზნებზე დაყრდნობით საკვლევი ობიექტების რაოდენობის განსაზღვრა და ინტერვიურების ჩატარება წინასწარ შერჩეული კვლევის ობიექტების განსაზღვრულ რაოდენობაზე.

მუხლი 8. რესპოდენტების შერჩევის კრიტერიუმები

განათლება: დამსაქმებელი 5 და მეტი დასაქმებულით

მშენებლობა: წლიური ბრუნვა - 250 ათასი ლარი ან მეტი, ან 5 და მეტი დასაქმებული;

სოფლის მეურნეობა: დამსაქმებელი, - 5 ჰა და მეტი მიწის ფართობი, მეცხოველეობა - 30 სული და მეტი, მეფუტკრეობა - 35-40 სკა; თვითდასაქმებული - 13ა მიწის ფართობი, მეცხოველეობა 10 სული, მეფუტკრეობა - 10-15 სკა

სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობა: წლიური ბრუნვა - 250 ათასი ლარი და მეტი, ან 5 და მეტი დასაქმებული;



ტურიზმი, HoReCa (სასტუმრო, რესტორანი, კვება): წლიური ბრუნვა - 250 ათასი ლარი ან მეტი, ან 5 და მეტი დასაქმებული.

მედიცინა-წლიური ბრუნვა - 250 ათასი ლარი ან მეტი, ან 5 და მეტი დასაქმებული.

ვაჭრობა-წლიური ბრუნვა - 250 ათასი ლარი ან მეტი, ან 5 და მეტი დასაქმებული.

საფინანსო ორგანიზაციები - წლიური ბრუნვა - 250 ათასი ლარი ან მეტი, ან 5 და მეტი დასაქმებული.

ფარმაცევტული ორგანიზაციები - წლიური ბრუნვა - 250 ათასი ლარი ან მეტი, ან 5 და მეტი დასაქმებული.

სადაზღვევო ორგანიზაციები - წლიური ბრუნვა - 250 ათასი ლარი ან მეტი, ან 5 და მეტი დასაქმებული.

გაზიფიკაცია - წლიური ბრუნვა - 250 ათასი ლარი ან მეტი, ან 5 და მეტი დასაქმებული.

ავეჯის საამქროები - წლიური ბრუნვა - 250 ათასი ლარი ან მეტი, ან 5 და მეტი დასაქმებული.

საჯარო დაწესებულებები - 5 და მეტი დასაქმებული.

დალაგება-დასუფთავების სერვისები - 5 და მეტი დასაქმებული.

მუხლი 9. თვისობრივი (ხარისხობრივი) კვლევა

1. პირველ ეტაპზე ტარდება ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრა სფეროების მიხედვით (განათლება, მედიცინა, მშენებლობა, ტურიზმი, HoReCa (სასტუმრო, რესტორანი, კვება), ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობა, საფინანსო, ფარმაცევტული, სადაზღვევო ორგანიზაციები, გაზიფიკაცია, ავეჯის საამქროები, საჯარო დაწესებულებები, დალაგება-დასუფთავების სერვისები) და შემდეგ საკითხებზე:

ა) საკვლევ პროფესიებში კადრების აყვანა-გათავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემები;

ბ) კადრების პროფესიონალიზმის, კვალიფიკაციის შეფასების პრობლემები;

გ) რეგიონში პროფესიებზე მოსალოდნელ და მიმდინარე მოთხოვნასთან დაკავშირებული საკითხები.

დ) რეგიონში რეგისტრირებული და ფუნქციონირებადი საწარმოები, ფერმერული ორგანიზაციები, მათი მისამართები საქმიანობის ძირითადი სახეების და მომუშავეთა რიცხოვნობის ჩვენებით.

მუხლი 10. ინფორმაციის მიღების წყაროები:

- ადგილობრივი მუნიციპალიტეტები;
- ფერმერთა საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დამსაქმებლების მონაცემთა ბაზა.



მუხლი 11. თვისობრივი კვლევის ჩატარების სფეროები

1. გამოკვლევა ტარდება სხვადასხვა სფეროს რესპოდენტებთან:

- ა) განათლება
- ბ) ინჟინერია
- გ) ჯანდაცვა
- დ) სოფლის მეურნეობა
- ე) სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი მრეწველობა:
- ვ) ტურიზმი, HoReCa (სასტუმრო, რესტორანი, კვება):
- ზ) ვაჭრობა
- თ) ბიზნესი
- ი) საჯარო დაწესებულებები
- კ) სოციალური და სხვა

2. შეისწავლება შემდეგი საკითხები:

- ა) კადრების აყვანა-გათავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ბ) კადრების პროფესიონალიზმის, კვალიფიკაციის შეფასების პრობლემები;
- გ) რეგიონში პროფესიებზე მოსალოდნელი და მიმდინარე მოთხოვნა.
- დ) დასაქმების კლასიფიკატორის (პროფესიების კლასიფიკატორის) განხილვა.

მუხლი 12. კითხვარი შედგება 3 ბლოკისაგან:

1. 1-ლი ბლოკი:

- ა) ინფორმაცია საწარმოს/ორგანიზაციის შესახებ;
- ბ) რა მოთხოვნებს უყენებენ დამსაქმებლები შრომის ბაზარს
- გ) რა ფაქტორებია მათთვის მნიშვნელოვანი თანამშრომლის შერჩევისას?

2. მე-2 ბლოკი:

- ა) ინფორმაცია რესპოდენტის შესახებ -
- ბ) როგორ აფასებენ დამსაქმებლები უმაღლესი განათლების დონეს საქართველოში?
- გ) ითვალისწინებენ თუ არა კადრის შერჩევისას, რომელი უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულია კანდიდატი?
- დ) რომელ სასწავლებლებს აძლევენ უპირატესობას და რატომ?
- ე) როგორი იმიჯი აქვს ზსსუ-ს დამსაქმებლებში?

3. მე-3 ბლოკი:

- ა) ძირითადი ინფორმაცია საწარმოში/ორგანიზაციაში სამუშაო ძალის შესახებ

მუხლი 13. კვლევის ტექნიკური მხარე

კვლევის დაწყებამდე კითხვარმა უნდა გაიაროს პრე-ტესტი (5 საპილოტე ინტერვიუ).

მუხლი 14. ინტერვიუს ხანგრძლივობა

ინტერვიუს ხანგრძლივობა შეადგენდს არა უმეტეს 30 წუთს.



მუხლი 15. ინტერვიუს კითხვარების დამუშავება-
ინტერვიუს კითხვარების დამუშავება - კითხვარების დამუშავებას ახდენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

მუხლი 16. დასკვნის მომზადება
კითხვარების დამუშავების შემდეგ დასკვნას ამზადებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და წარუდგენს რექტორს

მუხლი 17. დასკვნითი დებულებები
შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით

